## მოდული 1. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ

1

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ინტერნეტიდან ჩამოტვირთული ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოები გამოიყენონ კლასში წარსადგენი პოსტერის ან ციფრული პრეზენტაციის დასამზადებლად?

2

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, კლასში მოსწავლეებთან გამოსაყენებლად დაამზადონ სახელმძღვანელოების ფოტოასლები ან დაასკანერონ საჭირო გვერდები?

3

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, შეასრულონ პოპულარული სიმღერები კლასში ან მასწავლებლებისა და მშობლებისთვის გამართულ უფასო კონცერტზე?

4

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, სკოლაში მშობლებისთვის სპექტაკლი დადგან, თუ წარმოდგენაზე დასწრება უფასოა?

5

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, კლასში აჩვენონ DVD და შემდგომ ის მოსწავლეებთან ერთად განიხილონ?



ევროკავშირი საქართველოსთვის The European Union for Georgia
EUGIPP
საქპატენტი SAKPATENTI NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
ideas powered @SCHOOL
EUIPO EUROPEAN UNION INTELLECTUAL PROPERTY OFFICE

## მოდული 1. კითხვები საავტორო უფლებების შესახებ

6

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს კლასში ონლაინ ვიდეოკლიპის ჩვენება?

7

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, მოსწავლეებს ელექტრონული ფოსტით გაუგზავნონ სტატიები ან ამონარიდები სპეციალური ლიტერატურიდან და ამ სახით გააცნონ მათ მასალა, რომელიც საშინაო დავალების შესასრულებლად დასჭირდებათ?

8

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, დახურულ სასკოლო ვებგვერდზე განათავსონ მოსწავლეების წასაკითხად განკუთვნილი საგაზეთო სტატია, ტექსტის ნაწყვეტი ან წიგნი?

9

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, გამოიყენონ მთლიანი ლექსი, სიმღერა ან წიგნის მთელი თავი, როდესაც თავიანთი მოსწავლეებისთვის საკუთარ სასწავლო მასალას ქმნიან?

10

შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს, მოსწავლეებთან სამუშაოდ უცხო ენაზე დაწერილი წიგნის ნაწილები მათ მშობლიურ ენაზე თარგმნონ?